



საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

საიას შეფასება
ანტიკორუფციული
ბიუროს გაუქმებასა და
მისი კომპეტენციის
აუდიტის სახელმწიფო
სამსახურისთვის
გადაცემასთან
დაკავშირებით

**საიას შეფასება
ანტიკორუფციული ბიუროს გაუქმებასა და
მისი კომპეტენციის აუდიტის სახელმწიფო
სამსახურისთვის გადაცემასთან დაკავშირებით**

თბილისი
2026

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჯ. კახიძის ქ. №15, თბილისი, საქართველო

(+995 32) 295 23 53, 293 61 01

www.gyla.ge

© 2026, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სარჩევი

1. შესავალი	4
2. ანტიკორუფციული პოლიტიკა საქართველოში და საერთაშორისო რეკომენდაციები	4
3. ანტიკორუფციული ბიუროს უფლებამოსილებები, გაზრდილი მანდატი და სამოქალაქო საზოგადოების კონტროლის ფუნქცია	5
4. ანტიკორუფციული ბიუროს გაუქმება და მისი უფლებამოსილებების გადაცემა	7
5. დასკვნა	10

1. შესავალი

ანტიკორუფციული პოლიტიკის წარმოება სახელმწიფო მმართველობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა. სახელმწიფო ორგანოებმა ეფექტიანი რეაგირება უნდა მოახდინონ კორუფციულ ფაქტებზე, თუმცა ანტიკორუფციული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილია კორუფციასთან ბრძოლა და მისი პრევენცია. კორუფცია და კორუფციული დანაშაულები საქართველოს რეალობაში ჯერ კიდევ მწვავე პრობლემად რჩება, რაც ნათლად გამოჩნდა ბოლო პერიოდში ხელისუფლების ყოფილი მაღალჩინოსნების კორუფციულ საქმეებშიც.¹

ამის ფონზე კი, საქართველოს პარლამენტმა გააუქმა კორუფციასთან ბრძოლის პრევენციული ორგანო - ანტიკორუფციული ბიურო და მისი უფლებამოსილებები სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მანდატს დაუქვემდებარა. ანტიკორუფციული ბიუროს საქმიანობის ეფექტიანობა და მისი რეალური დამოუკიდებლობა შექმნის მომენტიდანვე სადავო იყო, თუმცა, ნორმატიულად იგი ფორმალურ-სამართლებრივად დამოუკიდებელ ორგანოს განეკუთვნებოდა, რომელიც ანგარიშვალდებული იყო პარლამენტის წინაშე და ქვეყანაში ანტიკორუფციული პოლიტიკის განხორციელება ევალებოდა.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია საქართველოში ბოლო წლებში არსებული ანტიკორუფციული პოლიტიკის ანალიზი, კონსტიტუციასა და საერთაშორისო რეკომენდაციებთან მისი შესაბამისობის, ასევე, ანტიკორუფციული ბიუროს საქმიანობის შეფასება.

2. ანტიკორუფციული პოლიტიკა საქართველოში და საერთაშორისო რეკომენდაციები

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა საერთაშორისო პარტნიორების მიერ საქართველოსთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციებში ყოველთვის პრიორიტეტული იყო. მათ შორის, საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმებაშიც აღნიშნულია, რომ საქართველომ და ევროკავშირმა უნდა ითანამშრომლონ კორუფციის აღმოფხვრის მიმართულებით როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში.² ამ შეთანხმებით, საქართველომ აიღო ვალდებულება, რომ გააგრძელებდა ბრძოლას კორუფციის ყველა ფორმის აღმოფხვრის მიმართულებით და გააძლიერებდა მისი პრევენციის მექანიზმებს.³ ანტიკორუფციული არქიტექტურის გამყარებისა და ანტიკორუფციული ბიუროს დამოუკიდებლობის გაძლიერებისკენ მოუწოდა საქართველოს ევროკავშირმა კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების წინაპირობებშიც.⁴

ასოცირების შეთანხმების დღის წესრიგით გათვალისწინებული რეკომენდაციების მიხედვით, საქართველოს უნდა ეთანამშრომლა კორუფციასთან ბრძოლის სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან და შეესრულებინა მათი რეკომენდაციები.⁵ საერთაშორისო პარტნიორები ასევე მოუწოდებდნენ ქვეყანას, შეექმნა დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანო, რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა ანტიკორუფციული პოლიტიკის წარმოებაზე. მათ შორის იყო ევროსაბჭოს კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფი (GRECO), რომელმაც არაერთხელ მიმართა საქართველოს, განემტკიცებინა კორუფციასთან ბრძოლის ინსტიტუციური ჩარჩო და შეექმნა უფრო ძლიერი დამოუკიდებელი ორგანო.⁶ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციულმა ქსელმა (OECD/ACN) თავის ანგარიშებში არაერთხელ აღნიშნა, რომ საქართველო უფრო ეფექტიან და დამოუკიდებელ ანტიკორუფციულ ორგანოს ემოქმედა.⁷ სწორედ საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების საფუძველზე შეიქმნა დამოუკიდებელი ორგანო - ანტიკორუფციული ბიურო, რომელმაც, მის მცირეხნიან საქმიანობაზე დაკვირვებით თუ ვიმსჯელებთ, საბოლოო ჯამში, დასახულ მიზანს ვერ მიაღწია. 2022 წლის 30 ნოემბერს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო ცვლილებები საქართველოს კანონში „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ (რომელსაც, ამავე ცვლილებებით, „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონი დაერქვა) და შექმნა ანტიკორუფციული ბიურო, რომლის ამოცანად, მისი უფლებამოსილებების ფარგ-

¹ „2025 წელი - „ოცნება“ ყოფილი ერთგული მაღალჩინოსნების წინააღმდეგ“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2025 წლის 31 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%A7%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%92%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A9%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%94%E1%83%92-/33637370.html>, განახლებულია: 18.03.2026.

² ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების მე-17 მუხლი, ხელმისაწვდომია: <https://mfa.gov.ge/european-union/377295-asotsirebis-shesakheb-shetankhmeba>.

³ ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2021-2027 წლების დღის წესრიგი, გვ. 12.

⁴ ევროკომისიის 2022 წლის 17 ივნისის მოსაზრება საქართველოს ევროკავშირში წევრობის განაცხადთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX%3A52022DC0405>, განახლებულია: 06.03.2026.

⁵ იქვე, გვ. 26.

⁶ GRECO-ს შეფასების მეოთხე რუნდის ანგარიში, Corruption prevention in respect of members of parliament, judges and prosecutors; Compliance Report Georgia, 2019 წლის 2 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/fourth-evaluation-round-corruption-prevention-in-respect-of-members-of/168095529a>, განახლებულია: 06.03.2026.

⁷ OECD (2022), Anti-Corruption Reforms in Georgia: Pilot 5th Round of Monitoring Under the OECD Istanbul Anti-Corruption Action Plan, 2022 წლის 30 მაისი, ხელმისაწვდომია: <https://doi.org/10.1787/d709c349-en>, განახლებულია: 06.03.2026.

ლებში, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობა განისაზღვრა.⁸

ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელი თანამდებობაზე ინიშნებოდა პრემიერ-მინისტრის მიერ,⁹ რაც იმ-
თავითვე კრიტიკის საგანი გახდა. აქვე აღსანიშნავია, რომ, ვინაიდან ბიურო თავად ანგარიშვალდებული იყო
პარლამენტის წინაშე,¹⁰ ლოგიკური იქნებოდა, რომ მის უფროსს პარლამენტის ლეგიტიმაცია ჰქონოდა.

3. ანტიკორუფციული ბიუროს უფლებამოსილება, გაზრდილი მანდატი და სამოქალაქო საზოგადოების კონტროლის ფუნქცია

ანტიკორუფციული ბიურო შექმნის დღიდან პასუხისმგებელი იყო კორუფციის პრევენციაზე, ანტიკორუფციული
პოლიტიკის წარმოებაზე. მას უნდა შეემუშავებინა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ზოგადი პოლიტიკის გა-
ნსაზღვრასთან დაკავშირებული წინადადებები, რომლებსაც წარუდგენდა პარლამენტს, აგრეთვე, საქართვე-
ლოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.¹¹ ბიურო ასევე პასუხისმგებელი იყო ქვე-
ყანაში კორუფციასთან ბრძოლის შესახებ საჯარო პოლიტიკის დოკუმენტების შესრულების მონიტორინგსა და
შეფასებაზე.¹² გარდა ამისა, ანტიკორუფციული ბიუროს უფლებამოსილებებში შედიოდა საჯარო დაწესებულე-
ბებში ინტერესთა შეუთავსებლობის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის თაობაზე შესაბამისი წი-
ნადადებებისა და რეკომენდაციების გაცემა, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის
მიღება, შენახვა, მათი მონიტორინგი.¹³ ამასთანავე, ბიურო უზრუნველყოფდა მამხილებლის ინსტიტუტის
ფუნქციონირებას, მამხილებლის დაცვის საკითხებზე რეკომენდაციების გაცემას.¹⁴ კორუფციის შესახებ ცნობი-
ერების ამალგებასთან ერთად, ბიურო ახორციელებდა პოლიტიკური პარტიების ფინანსურ მონიტორინგს.¹⁵
მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში, მას შეეძლო შესაბამისი სუბიექტისგან საჭირო ინფორმაციის
გამოთხოვნა, თანამშრომლობდა სხვადასხვა სახელმწიფო თუ საერთაშორისო უწყებასთან და ა.შ.¹⁶

თუმცა ანტიკორუფციული ბიუროს მანდატი, მისი შექმნიდან დღემდე, მნიშვნელოვნად ასცდა დასახულ მი-
ზანს და მისი მუშაობის მთავარი მიმართულება გახდა არა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, არამედ სამოქა-
ლაქო საზოგადოების კონტროლი და შეზღუდვა. აღსანიშნავია, რომ ბიურო არსებითად ვერ უზრუნველყოფდა
ანტიკორუფციული პოლიტიკის გატარებას. მაგალითად, დღემდე არ არის მიღებული ეროვნული ანტიკორუფ-
ციული სტრატეგია.¹⁷ ამასთანავე, მკვეთრად გაუარესებულია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების გამჭ-
ვირვალობა და მათი მონიტორინგის შედეგების შესახებ საზოგადოების ინფორმირება. 2024 წლის დეკემბრი-
დან 2025 წლის ივნისამდე თანამდებობის პირთა დეკლარაციები საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი არ იყო,
რაც ანტიკორუფციულმა ბიურომ „ტექნიკურ ხარვეზს“ დააბრალა.¹⁸ ასევე, დეკლარაციების მონიტორინგის ნა-
წილში ბიურომ ვერ დაინახა შეუსაბამობები იმ მაღალჩინოსნების დეკლარაციებში, რომელთა წინააღმდეგაც
შემდეგ, კორუფციული გარიგებების ბრალდებით, სისხლისსამართლებრივი საქმეების წარმოება დაიწყო.¹⁹

ყოველივე ზემოხსენებული აისახა საერთაშორისო პარტნიორობის გაუარესებამდე. საქართველო გამოეთიშა
OECD-ის ანტიკორუფციული ქსელის (OECD/ACN) მონიტორინგის პროცესს.²⁰ გარდა ამისა, ღია მმართველობის
პარტნიორობამ საქართველოს 2024 წლის ოქტომბერში – დროებით,²¹ 2026 წლის 13 აპრილს კი საბოლოოდ
შეუჩერა წევრობა. შედეგად, საქართველო გამოეთიშა ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ საერთაშორისო პლატ-

⁸ საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების
შეტანის თაობაზე“, 2022 წლის 30 ნოემბერი, მუხლი 1, პუნქტი 12, ხელმისაწვდომია: <https://info-parliament.ge/#law-drafting/24960>, განახლებულია:
08.03.2026.

⁹ „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20¹⁶ მუხლი, 2022 წლის 30 ნოემბრის რედაქციით.

¹⁰ იქვე, მუხლი 20¹².

¹¹ იქვე, მუხლი 20¹⁵.

¹² იქვე.

¹³ იქვე.

¹⁴ იქვე.

¹⁵ იქვე.

¹⁶ იქვე.

¹⁷ „ანტიკორუფციული ბიურო: გზაუკვროკავშირის რეკომენდაციებიდან გაუქმებამდე“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2026 წლის
7 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%92%E1%83%96%E1%83%90-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%94/33697764.html>, განახლებულია: 08.03.2026.

¹⁸ იქვე.

¹⁹ იქვე.

²⁰ „საქართველომ OECD/ACN-ის ანტიკორუფციული გარემოს შეფასებაზე უარი თქვა - NGO“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“,
2023 წლის 27 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/32477822.html>, განახლებულია: 07.03.2026.

²¹ „Georgia Temporarily Suspended from the Open Government Partnership“, 2024 წლის 16 ოქტომბერი, Open Government Partnership (OGP),
ხელმისაწვდომია: <https://www.opengovpartnership.org/news/georgia-temporarily-suspended-from-the-open-government-partnership/>, განახლებულია:
08.03.2026.

ფორმას.²² ქვეყანა, კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით, 2022 წლის შემდეგ ექვსი ქულით დაქვეითდა.²³ ხოლო, თუ ამავე რეიტინგში საქართველო 2022 წელს 41-ე ადგილზე იყო, 2025 წელს ის 56-ე ადგილზე ჩამოვიდა, ჯამში, 182 ქვეყნიდან.²⁴

ამის მიუხედავად, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ანტიკორუფციული ბიუროს უფლებამოსილებები საგრძობლად გაიზარდა. თავდაპირველად, 2025 წლის აპრილში, „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონს დაემატა ჩანაწერი, რომელიც ბიუროს უფლებამოსილებების ჩამონათვალს ღიად ტოვებდა და მას კანონმდებლობით გათვალისწინებულ ისეთ ფუნქციებს ანიჭებდა, რომლებიც ამ კანონში ექსპლიციტურად გაწერილი არ იყო.²⁵

2024-25 წლებში, ბოლოდროინდელი ძალადობრივი კანონმდებლობის მიღების შედეგად, საგრძობლად გაიზარდა ანტიკორუფციული ბიუროს უფლებამოსილებები სამოქალაქო ორგანიზაციებისა და აქტივისტების კონტროლის მიმართულებით.²⁶ „უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტი“ (ე.წ. ამერიკული FARA-ს ქართული ანალოგის) ფარგლებში, ბიურო ამონიტორინგებდა ნებისმიერ პირს ან ორგანიზაციას, ხოლო, თუ ბიუროს უფროსი მას უცხოური სუბიექტის ინტერესების გამტარებლად მიიჩნევდა, უცხოელ აგენტად რეგისტრაციას ავალდებულებდა.²⁷ ამასთანავე, ანტიკორუფციულ ბიუროს განსაკუთრებული უფლებამოსილება მიენიჭა პოლიტიკური პარტიებისა და განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე სუბიექტის ფინანსური მონიტორინგის პროცესში. მას შეეძლო, თავად განესაზღვრა განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე სუბიექტი და მასზე გავრცელებინა პოლიტიკური პარტიისთვის დაწესებული ყველა შეზღუდვა.²⁸ ამ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მაგალითი იყო 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის საარჩევნო მიზნის მქონე სუბიექტის სტატუსის მინიჭება, რამაც ამ ორგანიზაციებს საქმიანობის განხორციელება არამართლზომიერად შეუზღუდა.²⁹ ანტიკორუფციული ბიუროს დამოუკიდებლობის დაბალ ხარისხზე მიუთითებს ისიც, რომ ეს გადაწყვეტილება ბიურომ პრემიერ-მინისტრის სიტყვიერი მოწოდების შედეგად გააუქმა.³⁰

განსაკუთრებით გაუარესდა სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხარისხი ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის შერჩევის პროცესში. 2025 წლის აპრილში მიღებული საკანონმდებლო პაკეტის მიხედვით, პარლამენტმა აკრძალა არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობა, ფაქტობრივად, ყველა სახელმწიფო თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტის საქმიანობაში.³¹ ეს შეეხო ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის საკონკურსო კომისიაში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლის მონაწილეობასაც. თუ აქამდე არსებული რედაქციით საკონკურსო კომისიის შვიდი წევრიდან ერთი აუცილებლად სამოქალაქო საზოგადოების წევრი უნდა ყოფილიყო, ეს ვალდებულება, კანონპროექტით, აღარ არსებობდა.³² არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა გამოიხატებოდა ასევე ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგისთვის თანამდებობის პირების შერჩევაზე პასუხისმგებელ დამოუკიდებელ კომისიაში მონაწილეობაში.³³ მათ, აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან ერთად, შეეძლოთ დეკლარაციების მონიტორინგისთვის თანამდებობის პირების შერჩევა.³⁴ თუმცა, 2025 წლის აპრილის ცვლილებებით, კომისიაში მონაწილეობისთვის სამოქალაქო საზოგადოების კვოტა აღარ არსებობს.³⁵

²² „საქართველო „ღია მმართველობის პარტნიორობიდან“ გარიცხვა“, საიას ვებგვერდი, 2026 წლის 22 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/ertoblivi-gancxadeba-OGP?fbclid=IwY2xjawRwtd5leHRuA2FibQlxMABicmlkETFrM2Z0dU5CdVJUcFN5VUvuc3J0YwZhcHBfaWwQMjlyMDM5MTc4O-DlwMDg5MgABHlex15WdA9OfSb964iGpu7W4-e-qrAkqgdykYUj-LbmbU2_Dp1CbaErgzK4_aem_36GuAvq6WuLO8bhfAGszOg, განახლებულია: 23.04.2026.

²³ კორუფციის აღქმის ინდექსი, 2024, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, ხელმისაწვდომია: <https://www.transparency.org/en/cpi/2025/index/geo>, განახლებულია: 08.03.2026.

²⁴ იქვე.

²⁵ საქართველოს კანონი „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, 2025 წლის 16 აპრილი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6474447?publication=0>, განახლებულია: 08.03.2026.

²⁶ დეტალურად იხ. ძალადობრივი კანონშემოქმედება საქართველოში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2025.

²⁷ „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/document/view/6461578?publication=0>.

²⁸ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34¹-ე მუხლის მე-2¹ პუნქტი.

²⁹ ვრცლად იხ. „2024 წლის საპარლამენტო არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის მესამე შუალედური ანგარიში“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2024 წლის 18 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.gyla.ge/post/SAARCHEVNO-SHUALDEURI-ANGARISHI-3>, განახლებულია: 19.03.2026.

³⁰ ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის, რაქლენ კუპრაშვილის ბრიფინგი, ანტიკორუფციული ბიუროს ოფიციალური Facebook-გვერდი, 2024 წლის 2 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/reel/3859307714285208>, განახლებულია: 25.03.2026.

³¹ საკანონმდებლო პაკეტი N07-3/32/11, 2025 წლის 19 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/v1/law-drafting/package/21885>, განახლებულია: 19.03.2026.

³² „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პირველი მუხლი, 2025 წლის 2 აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/v1/law-drafting/bill/30348>, განახლებულია: 19.03.2026.

³³ „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18¹ მუხლის მე-3 პუნქტი.

³⁴ საქართველოს მთავრობის დადგენილება №81 „შესამოწმებელი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 8, 2017 წლის 14 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/document/view/3578912?publication=3>, 2023 წლის 24 ივლისის მდგომარეობით.

³⁵ საქართველოს მთავრობის დადგენილება №81 „შესამოწმებელი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 8, 2017 წლის 14 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/document/view/3578912?publication=3>, მოქმედი რედაქციით.

ძალადობრივი კანონმდებლობის ზეგავლენისა და ანტიკორუფციული ბიუროს უფლებამოსილებების გაუმართლებელი ზრდა გამოიხატა ასევე „გრანტების შესახებ“ კანონში მიღებული ცვლილებებით, რომლებიც პარლამენტმა 2025 წლის აპრილში დაამტკიცა. ამ კანონით შეიცვალა გრანტის გაცემის წესი და ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ საქართველოს მთავრობის წინასწარი თანხმობის შემთხვევაში.³⁶ პროცედურულად, დონორმა მთავრობას უნდა წარუდგინოს საგრანტო ხელშეკრულების პროექტი და, მოთხოვნის შემთხვევაში, დამატებითი ინფორმაცია.³⁷ თანხმობის გარეშე გრანტის მიღების მონიტორინგზე პასუხისმგებელ ორგანოდ კვლავ ანტიკორუფციული ბიურო განისაზღვრა, რომელიც უფლებამოსილი იყო, მონიტორინგის მიზნებისთვის ნებისმიერი პირისგან გამოეთხოვა ფინანსური ანგარიში, გამოეკითხა ფიზიკური პირი, გამოეთხოვა საჭირო ინფორმაცია როგორც საჯარო, ისე კერძო დაწესებულებებისა და პირებისგან და განეხორციელებინა კანონით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.³⁸ ევროპული კომისიის სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად („ვენეციის კომისია“) დასკვნის მიხედვით, ბიუროს უფლებამოსილებები პირების გამოკითხვის ნაწილში ბუნდოვანია და, შესაძლოა, პრაქტიკაში მან იძულებითი ხასიათი მიიღოს.³⁹ ყოველივე ამის გათვალისწინებით, ანტიკორუფციული ბიურო, ასეთი კომპეტენციური ზრდისა და თავისი პირველადი ფუნქციის შესუსტების ხარჯზე, რეალურად, სამოქალაქო საზოგადოების ზედამხედველ ორგანოდ გადაიქცა.⁴⁰

4. ანტიკორუფციული ბიუროს გაუქმება და მისი უფლებამოსილებების გადაცემა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გაზრდილი უფლებამოსილება

2025 წლის 17 ნოემბრის ბრიფინგზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დააანონსა ანტიკორუფციული ბიუროს გაუქმება და მისი უფლებამოსილების სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის გადაცემა.⁴¹ ამ ინსტიტუციური ცვლილების მიზნად მმართველობის სისტემის კონსტიტუციურ ჩარჩოში გამყარება და სახელმწიფო რესურსების ოპტიმიზაცია დასახელდა.⁴² ამასთანავე, ავტორების თქმით, ცვლილება გამოიწვია ანტიკორუფციულ პოლიტიკასა და მის რეპრესიულ თუ პრევენციულ კონტროლზე პასუხისმგებელ სახელმწიფო ორგანოთა სიმრავლემ, ხოლო ანტიკორუფციული ბიუროს მონიტორინგის ფუნქცია უკეთ შეესაბამება სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, როგორც უფრო მაღალი რანგის და დამოუკიდებელ კონსტიტუციურ ორგანოს.⁴³ გარდა ამისა, მმართველი პარტიის წევრების თქმით, ანტიკორუფციული ბიურო „რადაც დამოუკიდებელი, ვითომ შექმნილი ორგანო“ და თავიდანვე „გარედან თავსმოხვეული“ იყო.⁴⁴ აშკარაა, რომ, ერთი მხრივ, ხელისუფლების წარმომადგენლები თვითონვე აღიარებდნენ ბიუროს დამოუკიდებლობის დაბალ ხარისხს, ხოლო, მეორე მხრივ, მისი საქმიანობის გაგრძელების საჭიროებას ვეღარ ხედავდნენ.

კანონპროექტის მიხედვით, რომელიც 17 დეკემბერს მესამე მოსმენით მიიღო პარლამენტმა, ანტიკორუფციული ბიუროს უფლებამოსილებები თითქმის სრულად გადაეცა სახელმწიფო აუდიტის სამსახურს.⁴⁵ აღსანიშნავია, რომ პოლიტიკის შემუშავების მიმართულება, რომელშიც კორუფციასთან ბრძოლის საჯარო პოლიტიკის დოკუმენტების შექმნა, მათი განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება იგულისხმება, არა აუდიტის სამსახურის, არამედ მთავრობის უფლებამოსილებაში გადავიდა.⁴⁶ სხვა მხრივ კი, აუდიტის სამსახური იქნება უფლებამოსილი საჯარო მოსამსახურეთა ქონებრივი დეკლარაციების შეგროვებაზე, შენახვასა და კონტროლზე, ასევე, მამხილებლების დაცვაზე, პოლიტიკური პარტიების ფინანსურ მონიტორინგზე.⁴⁷ აუდიტის სამსახურის ფუნქციებს ემატება ასევე რეპრესიული და ძალადობრივი კანონმდებლობით თავის დროზე ანტიკორუფციული ბიუროსთვის მინიჭებული სამოქალაქო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების შემზღვეველი კა-

³⁶ „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5¹ მუხლის 1-ლი პუნქტი.

³⁷ იქვე, მე-2 პუნქტი.

³⁸ იქვე, მუხლი 6¹.

³⁹ Opinion on the Law on the Registration of Foreign Agents, the Amendments to the Law on Grants and Other Laws Relation to „Foreign Influence“, N. CDL-AD(2025)034, European Commission For Democracy Through Law of The Council of Europe (Venice Commission). October, 2025, available at: <https://www.coe.int/en/web/venice-commission/-/cdl-ad-2025-034-e>, §95.

⁴⁰ დეტალურად იხ. ანტიკორუფციული ბიუროს ფუნქციური გადაჭარბება, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2025 წლის 27 მაისი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/media/blogs/198?fbclid=IwY2xjawN4Y9IeHRuA2FibQIxMABicmlkETfIZGRBWUpjRDRpZW0xbThWc3J0YVZhcHBfaWQQMjlyMDM5MTc4ODIwMDg5MgABHpgxS_eUELiFgiEjKEiReX4mAc81P1f-C8iE7ckSBqGhy4Be8nOdNio4ZbH_aem_L7On4OPEbgnUYa5YOoXlow, განახლებულია: 06.03.2026.

⁴¹ „შალვა პაპუაშვილის ბრიფინგი“, 2025 წლის 17 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=sMjMdTvR0gw&t=313s>, განახლებულია: 08.03.2026.

⁴² იქვე.

⁴³ იქვე.

⁴⁴ „კახა კალაძე ანტიკორუფციული ბიუროს გაუქმებაზე - ეს იყო გარედან თავსმოხვეული, რადაც დამოუკიდებელი, ვითომ შექმნილი ორგანო“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2025 წლის 17 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/854776-kaxa-kalaze-antikorpuciuili-biuross-gaukmebaze-es-iqo-garedan-tavsmoxveuli-ragac-damoukidebeli-vitom-shekmnili-organo/>, განახლებულია: 19.03.2026.

⁴⁵ „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს ორგანული კანონის 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტი.

⁴⁶ „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქციის მე-6¹ მუხლი.

⁴⁷ „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლი.

ნონმდებლობის, მათ შორის, ე.წ. FARA-ს ქართული ვერსიისა და „გრანტების შესახებ“ კანონის აღსრულება.⁴⁸ ამასთანავე, სისტემური ანალიზისთვის აუცილებელია, აღინიშნოს, რომ აუდიტის სამსახურს შეუერთდა პერსონალური მონაცემების დაცვის სამსახურიც.

საბოლოო ჯამში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ქვეშ მოექცა, ერთი მხრივ, თავად სახელმწიფო აუდიტის, მეორე მხრივ კი, პრევენციული ანტიკორუფციული და პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებამოსილებები, ასევე, სამოქალაქო საზოგადოების მონიტორინგის ფუნქციებიც. შესაბამისად, საკამათოა, რამდენად რაციონალურია ერთი სტრუქტურის ქვეშ ამდენი მნიშვნელოვანი მიმართულების თავმოყრა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობა და საერთაშორისო სტანდარტები

სახელმწიფო აუდიტის სამსახური საჯარო მმართველობის ეფექტიანობისა და ანგარიშვალდებულების ხელშესაწყობად საბიუჯეტო სახსრების, ასევე, სხვა საჯარო რესურსების გამოყენებასა და ხარჯვაზე ზედამხედველი კონსტიტუციური ორგანოა.⁴⁹ ის უზრუნველყოფს პარლამენტის მიერ საჯარო სახსრების მართვის კონტროლს.⁵⁰ შესაბამისად, მისი უმთავრესი ფუნქცია არის სახელმწიფო თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების აუდიტი, რომელიც ადგენს, რამდენად სწორად და რაციონალურად იხარჯებოდა სახელმწიფო ბიუჯეტი.

ბიუჯეტის ეფექტიანი ზედამხედველობა, რომელშიც აუდიტის სამსახურის როლი შეუცვლელია, ერთ-ერთია ევროკავშირისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) საერთო პროგრამის „მმართველობისა და მართვის გაუმჯობესების მხარდაჭერა“ (SIGMA) საჯარო მმართველობის პრინციპებიდან.⁵¹ ამ პრინციპების მიხედვით, უმაღლესი აუდიტორული ორგანოს მანდატი, რომელიც სრულად ფარავს სახელმწიფო სახსრებსა და პოლიტიკას, ეხება შესაბამისობის, ფინანსური და ეფექტიანობის აუდიტების განხორციელებას საჯარო მმართველობის ყველა ორგანოში.⁵² შესაბამისად, ის უნდა სარგებლობდეს დამოუკიდებლობის მაღალი სტანდარტით.⁵³

უმაღლესი აუდიტორული ორგანოს მნიშვნელობასა და დამოუკიდებლობას უსვამს ხაზს ლიმა დეკლარაცია აუდიტის პროცედურების შესახებ. კონკრეტულად, საჯარო ფინანსების კონტროლის ინსტიტუტები საჯარო ფინანსებისგან განუყოფელია.⁵⁴ ფინანსური კონტროლი მარეგულირებელი სისტემის შეუცვლელი კომპონენტია, რომლის მიზანია კანონიერების, ეფექტიანობის, მიზანშეწონილობისა და მართვის ეკონომიურობის პრინციპების დარღვევების დროულად გამოვლენა, რათა ინდივიდუალურ შემთხვევებში შესაძლებელი იყოს კორექტირების ზომების მიღება, შესაბამისი ორგანოებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება, კომპენსაციის მიღება ან საჭირო ზომების მიღება მომავალში ასეთი დარღვევების თავიდან ასაცილებლად.⁵⁵ მთავრობის, მის მიმართ დაქვემდებარებული ადმინისტრაციული ორგანოებისა და სხვა დამოკიდებული ორგანოების საქმიანობა ექვევრა უმაღლესი აუდიტის სამსახურის ზედამხედველობის ფარგლებში.⁵⁶ მექსიკის დეკლარაცია უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტების დამოუკიდებლობის შესახებ ყურადღებას ამახვილებს აუდიტის სამსახურის შიდაავტონომიის მაღალ ხარისხსა და დამოუკიდებლობის გარანტიებზე.⁵⁷ აუდიტის სამსახური უნდა ოპერირებდეს სხვა საჯარო დაწესებულებებისგან განცალკევებით და უნდა გააჩნდეს აბსოლუტურად სუვერენული მოქმედების არეალი როგორც სამართლებრივად, ისე ფაქტობრივად.⁵⁸

აუდიტის სამსახურის ავტონომიის პრინციპი, შიდაინსტიტუციურ დამოუკიდებლობასთან ერთად, ასევე გულისხმობს, რომ მისი მანდატი ზედმეტად არ უნდა გადაიტვირთოს. აუდიტის სამსახურის ეფექტიანი საქმიანობისთვის აუცილებელია, მისი მანდატი მოიცავდეს მხოლოდ საფინანსო კონტროლს და მაქსიმალურად ნაკლები ინტერაქცია ჰქონდეს სხვა საჯარო დაწესებულებებთან, არ გააჩნდეს ისეთი დამატებითი უფლებამოსილებები, რომლებიც მის საზედამხედველო საქმიანობას ხელს შეუშლის.

გარდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის სპეციფიკისა, ცვლილებებით მიღებული ინსტიტუციური მოდელი საჯარო მმართველობის ზოგად პრინციპებსაც არ შეესაბამება. პირველ ყოვლისა, SIGMA-ს საჯარო მმართველობის პრინციპების მიხედვით, ორგანიზაციულად საჯარო მმართველობა მოწყობილი უნდა იყოს ცხადი და

⁴⁸ იქვე.

⁴⁹ საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლი.

⁵⁰ იქვე.

⁵¹ საჯარო მმართველობის პრინციპები, პრინციპი 16, SIGMA, 2023 წლის ნოემბერი, ხელმისაწვდომია:

https://www.sigmaweb.org/ka/publications/2023/11/the-principles-of-public-administration_5e68f805.html, განახლებულია: 08.03.2026.

⁵² იქვე.

⁵³ იქვე.

⁵⁴ The Lima Declaration of Guidelines on Auditing Precepts, The International Organisation of Supreme Audit Institutions (INTOSAI), §1.

⁵⁵ იქვე.

⁵⁶ იქვე, §9.

⁵⁷ Mexico Declaration on SAI Independence, The International Organisation of Supreme Audit Institutions (INTOSAI), Principle 2.

⁵⁸ იქვე.

თანმიმდევრული ტიპოლოგიის მიხედვით, ორგანოთა ფუნქციების საფუძველზე.⁵⁹ შესაბამისად, ყველა ორგანოს უნდა გააჩნდეს თავისი ექსკლუზიური ფუნქცია და, პირიქით – კონკრეტული საჯარო ფუნქცია უნდა მიეკუთვნებოდეს ერთ კონკრეტულ ორგანოს. ამასთანავე, ნებისმიერი ორგანოს შექმნა, გაერთიანება და ლიკვიდაცია უნდა განხორციელდეს ზეგავლენის გონივრული წინასწარი ანალიზის საფუძველზე.⁶⁰

SIGMA-ს პრინციპებიდან ასევე მნიშვნელოვანია საჯარო მმართველობის ორგანოების შიდა ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც ხელს უწყობს ფუნქციების ქმედით შესრულებას.⁶¹ საკამათოა, ფუნქციურად გადატვირთული სახელმწიფო აუდიტის სამსახური შოდაორგანიზაციულადაც კი რამდენად ზუსტად და ეფექტიანად განახორციელებს არა თუ შეძენილ, არამედ მის ექსკლუზიურ ფუნქციებსაც.

საიას შეფასება შემოთავაზებული ინსტიტუციური მოდელის შესახებ

საკანონმდებლო პაკეტის განმარტებითი ბარათი არ შეიცავდა დასაბუთებას იმასთან დაკავშირებით, რამ განაპირობა ანტიკორუფციული ბიუროს გაუქმება და რა შედეგები მოჰყვება მას ანტიკორუფციული ფუნქციების შესრულების ეფექტიანობის კუთხით. კანონპროექტის ინიციატორები ასახელებდნენ მმართველობის ოპტიმიზაციის მიზანს.

მართალია, კანონპროექტის ავტორები აპელირებდნენ სახელმწიფო რესურსების ოპტიმიზაციაზე, თუმცა დაუშვებელია სახელმწიფო მმართველობის იმ დონემდე ოპტიმიზაცია, რომ მისი კონკრეტული ფუნქცია ეფექტიანად ვეღარ შესრულდეს. სხვა სიტყვებით, რესურსების დაზოგვით სახელმწიფო ფუნქციის შესრულებას საფრთხე არ უნდა შეექმნას. ამ შემთხვევაში კი, პირველ ყოვლისა, გაუგებარია, რა სახისა და მასშტაბის რესურსის ოპტიმიზაციაზეა საუბარი, ხოლო, მეორე მხრივ, საეჭვოა, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ანტიკორუფციული ბიუროს უფლებამოსილებებს შედეგიანად განახორციელებს თუ არა.

შემოთავაზებული ინსტიტუციური გადაწყვეტა გაუმართლებელია, რადგან სახელმწიფო აუდიტის სამსახური, როგორც საჯარო ფინანსების ზედამხედველი ორგანო, ზედმეტად იტვირთება, რაც მის ეფექტიანობაზე მოახდენს გავლენას. აუდიტის სამსახურის მანდატი რამდენადაც ლაკონური და ცხადია, იმდენად აუცილებელი და მნიშვნელოვანია, რომ ის სხვა ფუნქციებით არ დამძიმდეს.

გარდა აუდიტის სამსახურის ფუნქციური გადატვირთულობისა, აშკარაა, რომ, მიღებული ცვლილებებით, ანტიკორუფციული პოლიტიკა ქვეყნისთვის პრიორიტეტი ოფიციალურადაც კი აღარ არის. ორგანო, რომელიც ფორმალურად მაინც პრევენციულ კონტროლს ახორციელებდა (მინიმუმ, უნდა განხორციელებინა), გაუქმებულია, ხოლო მისი უფლებამოსილებები აუდიტის სამსახურსა და მთავრობას შორისაა გახლეჩილი.

საბოლოო ჯამში, პოლიტიკის განსაზღვრის უფლებამოსილება შეითავსა მთავრობის ადმინისტრაციამ, ხოლო ფაქტობრივი მონიტორინგის ფუნქციები – აუდიტის სამსახურმა. მთავრობის ადმინისტრაცია, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, ცხადია, გადამწყვეტ როლს ასრულებს პოლიტიკის შემუშავებაში, თუმცა მისთვის ამ ფუნქციის ერთპიროვნულად მინიჭება სახიფათოა, რადგან, შესაძლებელია, ანტიკორუფციულ პოლიტიკას შესაბამისი ყურადღება აღარ მიექცეს. ამასთანავე, ოპტიმალური იქნებოდა, რომ პრევენციულ კონტროლს ახორციელებდეს ის ორგანო, რომელიც პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობს. ცხადია, სრულიად წარმოუდგენელი იქნებოდა აუდიტის სამსახურისთვის პოლიტიკის შემუშავების უფლებამოსილების მინიჭება, რადგან აბსოლუტურად აცდენილი იქნებოდა მის დანიშნულებასა და საქმიანობის მიზნებს. ხოლო, თუ ორგანო საჯარო პოლიტიკის დაგეგმვის ეტაპზე გამორიცხულია პროცესიდან, საკამათოა მისი ჩართულობა და ზედამხედველობა ამ პოლიტიკის განხორციელებაზე. ეს განლექა კიდევ ერთხელ ასაბუთებს რეფორმის არასწორ მიმართულებებსა და არალოგიკურ გადაწყვეტას.

უნდა აღინიშნოს, რომ არც ცვლილებების განმარტებითი ბარათიდან, არც ინიციატორების განცხადებებიდან და არც კონტექსტის სისტემური ანალიზიდან არ იკვეთება ასეთი ინსტიტუციური რეფორმის საჭიროება. კორუფცია კვლავ რჩება მწვავე პრობლემად საჯარო მმართველობაში, რაც „ქართული ოცნების“ ყოფილი მაღალჩინოსნების ბოლოდროინდელი კორუფციული გარიგების საქმეებმაც დაამტკიცა.

⁵⁹ საჯარო მმართველობის პრინციპები, პრინციპი 13, SIGMA, 2023 წლის ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.sigmaxweb.org/ka/publications/2023/11/the-principles-of-public-administration_5e68f805.html, განახლებულია: 08.03.2026.
⁶⁰ იქვე.
⁶¹ იქვე.

5. დასკვნა

მოცემული ანალიზის მიზანი იყო საქართველოში ბოლო წლებში არსებული ანტიკორუფციული პოლიტიკის მიმოხილვა და, მით უფრო, ბოლო ცვლილებების მიზეზებისა და შესაძლო შედეგების განხილვა. ცხადია, ანტიკორუფციული პოლიტიკა არასდროს ყოფილა საქართველოს ხელისუფლების განსაკუთრებული პრიორიტეტი. თუმცა, ანტიკორუფციული ბიუროს შექმნა, თავისთავად, იყო იმ საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინება/შესრულება, რომლებმაც ქვეყანა, გარკვეულწილად, ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსამდე მიიყვანა. ანტიკორუფციული ბიურო იყო ორგანო, რომელსაც, შესაძლოა, ეფექტიანობის ნაწილში გარკვეული ხარვეზები საკანონმდებლო დონეზეც კი ჰქონდა (მაგალითად, მას თავიდანვე არ გააჩნდა რეპრესიული კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა), თუმცა, ოფიციალურად, ის ერთპიროვნულად აგებდა პასუხს ანტიკორუფციული პოლიტიკის წარმოებაზე. პრაქტიკაში, რა თქმა უნდა, უამრავი პრობლემა გამოჩნდა მის საქმიანობაში. მკვეთრი გამოწვევები იდგა და ახლაც დგას ანტიკორუფციული პოლიტიკის შემუშავების კუთხით. არსებობის 3 წლის განმავლობაში ბიუროს არ მიუღია ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია. ამასთანავე, ის ვერ სარგებლობდა დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით და აშკარად იგრძნობოდა აღმასრულებელი ხელისუფლების, მეტიც, მმართველი პარტიის გავლენა მის საქმიანობაზე. ბოლოდროინდელი რეპრესიული კანონმდებლობის შედეგად კი, ბიურო, საჯარო სექტორის მონიტორინგის ნაცვლად, სამოქალაქო საზოგადოების ზედამხედველ ორგანოდ გადაიქცა, როდესაც ის გახდა პასუხისმგებელი ე.წ. ამერიკული FARA-ს ქართული ანალოგისა თუ „გრანტების შესახებ“ კანონის აღსრულებაზე.

აუდიტის სამსახური, როგორც სახელმწიფო ფინანსების მონიტორინგზე პასუხისმგებელი ორგანო, უნდა იყოს დამოუკიდებელი და ზედმეტი, დამატებითი პასუხისმგებლობებისგან გათავისუფლებული. შესაბამისად, განხორციელებული ცვლილებები აუცილებლად იქონიებს გავლენას ამ საჯარო ფუნქციების შესრულების ეფექტიანობაზე.